



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



PRESS RELEASE

დაუყოვნებელი გავრცელებისათვის

1 ოქტომბერი, 2014
საკონტაქტო ინფორმაცია:
თამარ ბაგრატია, პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
ტელ: 595 56-55-53; E-mail: tbagrati@nala.ge

დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხები განიხილავს

საქართველო, თბილისი – 2014 წლის 1 ოქტომბერს, სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართება დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა.

დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს აერთიანებს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” ფარგლებში შეიქმნა. პროგრამას ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია ახორციელებს. საკოორდინაციო ჯგუფი გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მიმდინარე პროექტებს განიხილავს.

პროგრამა წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ერთეულების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.



USAID საქართველოში: ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების განწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>.